დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ ,,უნივერსიტეტი“ ან ,,თსუ“) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ტექსტში შემდგომ „ფაკულტეტი“) სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის აუცილებელ პროცედურას ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ „თსუ“) წესდების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებისა და თსუ-ში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 2. დოქტორანტურა

1. "უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
2. დოქტორანტურის მიზანია სადოქტორო პროგრამების საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდის, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისთვის ხელშეწყობა.
3. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
4. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტურანტურაში.
5. დოქტორის ხარისხი არის უმაღლესი აკადემიური ხარისხი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორანტურისთვის გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ.
6. დოქტორანტურის კურსდამთავრებულს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამა

1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ ან უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტთან, პარტნიორ უნივერსიტეტთან, სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთობლივად, უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.
2. სადოქტორო პროგრამის პროექტს განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სადოქტორო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება თსუ აკადემიურ საბჭოს.
3. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
4. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს თსუ–ის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი, სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს.
6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად დოქტორანტების კონსულტირება ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, ამ კომპონენტების განხორციელების მონიტორინგი და სხვ.
7. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.
8. სადოქტორო პროგრამის წარდგენისა და დამტკიცების პროცედურა განისაზღვრება თსუ–ის სხვა სამართლებრივი აქტებით და სადოქტორო პროგრამის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით.

მუხლი 4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

1. დოქტორანტურაში ჩარიცხვისთვის წარსადგენი საბუთების ნუსხა და საბუთების წარდგენის ვადები განისაზღვრება ფაკულტეტის წარდგინებით, თსუ–ის რექტორის ბრძანებით.
2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა.
3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ–ერთი უცხო ენის - გერმანული, ინგლისური, ფრანგული - არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

4. დოქტორანტობის ის კანდიდატი, რომლისთვისაც ქართული ენა არაა მშობლიური და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე, ვალდებულია წარმოადგინოს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ ენაში.
5. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს შემოაქვს სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა **(დანართი №1)**, რომლის შეფასება მოხდება გასაუბრებაზე.
6. დოქტორანტი გადის გასაუბრებას დეკანის ბრძანებით შექმნილ შესაბამის დარგობრივ მიმღებ კომისიასთან.
7. სადოქტორო პროგრამამ შეიძლება დამატებით განსაზღვროს წერითი გამოცდა სპეციალობაში.
8. უნივერსიტეტის დოქტორანტთან ფორმდება ხელშეკრულება უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს.
9. დოქტორანტურაში მიღების ყველა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინებით, გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის ჩარიცხვის შესაბამის სამართლებრივ აქტს.

მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. ფაკულტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით.
2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი.
3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ თსუ–ში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის ხელმძღვანელის სტატუსის დაკარგვას. ასეთ შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მისი მოწვევის შესახებ.
5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცების გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო, სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით დარგობრივი სექციის შუამდგომლობის საფუძველზე დოქტორანტის ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში.
6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელად შეიძლება დამტკიცდეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, იბარებს სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სხვადასხვა სახის საქმიანობის ანგარიშებს და სასწავლო წლის ბოლოს წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს, ხელმძღვანელობს დოქტორანტის ასისტირებისათვის მომზადებას.
8. იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადებით უნდა მიმართოს სადისერტაციო საბჭოს. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 7. დოქტორანტურაში სწავლა

1. დოქტორანტმა სწავლისა და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 ECTS კრედიტი.
2. დოქტორანტურაში კრედიტების დაგროვება ხორციელდება თსუ–ის დოქტურანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით. 180 ECTS კრედიტი მოიცავს სასწავლო (40 ECTS კრედიტი) და კვლევით (140 ECTS კრედიტი) კომპონენტებს.
3. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში.
4. სადოქტორო თემის სათაურის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო, სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით დარგობრივი სექციის შუამდგომლობის საფუძველზე დოქტორანტის ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში.
5. სადოქტორო თემის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში.
6. სადოქტორო თემის შეცვლა დასაშვებია სწავლის ოთხი სემესტრის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია განიხილავს სადოქტორო თემის შეცვლის საკითხს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომელიც აისახება სხდომის ოქმში. ოქმი წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 8. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით ელემენტებს.
3. სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ელემენტებიდან ყველა დოქტორანტისთვის სავალდებულოა:
ა) სწავლების მეთოდები (5 კრედიტი);
ბ) ერთი სემინარი (15 კრედიტი);
გ) პროფესორის ასისტენტობა (5 კრედიტი).
4. სასწავლო კომპონენტის დანარჩენი ელემენტები არჩევითია და განსაზღვრულია კონკრეტული სადოქტორო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.
5. დოქტორანტის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომს (140 კრედიტი) და 2 კოლოკვიუმს. (8.12.2017, №154/2017)
6. სემინარებისა და კოლოკვიუმების ჩატარების განრიგი მტკიცდება დეკანის ბრძანებით და ტარდება დასკვნითი გამოცდების პერიოდში.

მუხლი 9. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა

1. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა იქმნება დარგში მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად და კონკრეტული კვლევითი პროექტის განსახორციელებლად.

2. თითოეული დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით თვითონ ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას.
3. დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში, დოქტორანტი სპეციალურ შევსებულ ფორმას „დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა" (ფორმა №1) წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სადისერტაციო საბჭოს ოფიციალურად აცნობებს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ და წარუდგენს მას ამონაწერს დოქტორანტის სასწავლო ბარათიდან, რომელიც დამოწმებულია ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერითა და ბეჭედით.
5. დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში, დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა №2) წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის (კონკრეტული კვლევითი პროექტის) განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი.
6. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომი

1. სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია) წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შექმნილ სამეცნიერო ნაშრომს. ის უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს შესაბამისი სამეცნიერო დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს კვლევაში მისი წვლილი.
2. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებია დისერტაციის უცხო ენაზე შესრულება და დაცვა, თუ სადოქტორო პროგრამა უცხოენოვანია.
3. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატს და სტილს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო **(დანართი №6).**

მუხლი 11. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

1. სადისერტაციო ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა ქართულ ენაზე (ზემოთ ხსენებული გამონაკლისის გარდა) ოთხ და უცხო ენაზე ერთ მაგარ ყდაში აკინძულ ეგზემპლარად, ასევე ელექტრონული სახით (CD).
2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი (ჟურნალის თავფურცელი, სარჩევი, სტატია) ან დასაბეჭდად მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) სამეცნიერო კონფერენციების მასალები, სადაც ასახული იყო სადისერტაციო ნაშრომის დებულებები და შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვისთვის წარსადგენად.
4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია ორი პუბლიკაცია სადისერტაციო თემის ფარგლებში. მათ შორის, ერთი პუბლიკაცია - Scopus-ის ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში, ან კონფერენციის მასალებში (proceedings) სტატიის სახით; მეორე პუბლიკაცია - რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში. (8.12.2017, №154/2017)
5. წარმოდგენილ დოკუმენტებს ამოწმებს სადისერტაციო საბჭოს მდივანი და დარგობრივი სექციის მდივანი.
6. დოქტორანტი თავისუფლდება სწავლის გადასახადისგან, თუ ნაშრომს წარმოადგენს მიმდინარე სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში; ხოლო სემესტრის განმავლობაში ნაშრომის წარმოდგენისას - მომდევნო სემესტრიდან. (8.12.2017, №154/2017)

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება

1. დარგობრივ სექციაში სადისერტაციო დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, ორი კვირის ვადაში, დარგობრივი სექცია ვალდებულია წარადგინოს ოქმი, რომლითაც შუამდგომლობს სადისერტაციო საბჭოს წინაშე, დაამტკიცოს:
ა) ნაშრომის შემფასებლების/რეცენზენტების კანდიდატურები;
ბ) სადისერტაციო კომისიის სავარაუდო შემადგენლობა და სათადარიგო წევრთა კანდიდატურები;
გ) საჭიროების შემთხვევაში დაცვის სხვა ენაზე წარმართვა.
2. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტად ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის პირი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ სფეროში აქვს პუბლიკაციები.
3. სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სამი შემფასებელი, მათგან ერთი – უცხოელი.
4. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის/რეცენზირებისთვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება შეფასებაზე თანხმობის მიღების დღიდან ორი თვის ვადით.
5. შემფასებელთა მიერ წარმოდგენილი რეცენზიები ბეჭდური და ელექტრონული ფორმით გადაეცემა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. უცხოელი შემფასებლის რეცენზია უნდა იყოს თარგმნილი და დამოწმებული. რეცენზია უნდა შეიცავდეს რეკომენდაციას/დასკვნას ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ.
6. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

7. თუ სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე არ იქნა დაშვებული, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება მიეცეს დისერტაციაზე დამატებითი მუშაობის უფლება მაქსიმუმ 12 თვის ვადით. შესწორებული ნაშრომის კვლავ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი აღარ მიიღება დასაცავად.
8. სადისერტაციო საბჭოს სამდივნო დოქტორანტს გადასცემს რეცენზენტების დასკვნების ასლებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, ატყობინებს დაცვის თარიღს. დაცვისთვის მოსამზადებლად დოქტორანტს უნდა მიეცეს სულ მცირე 1 თვის ვადა.
9. დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში.

მუხლი 13. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას, სათადარიგო წევრების ჩათვლით, სადისერტაციო საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად შუამდგომლობს დარგობრივი სექცია.
2. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს შემფასებელთა მიერ დისერტაციაზე რეცენზიების წარდგენის შემდეგ, დისერტაციის დაცვამდე არაუგვიანეს 30 დღისა.
3. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ ხუთი წევრისგან. სადისერტაციო კომისიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი, რომელიც არ არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
4. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის სხდომაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით.
5. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათადარიგო კანდიდატურით ჩაანაცვლოს კომისიის ის წევრი, რომელსაც საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია დისერტაციის დაცვაზე დასწრება.
6. დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და თემის რეცენზენტები არ შეიძლება იყვნენ სადისერტაციო კომისიის წევრები.
7. სადისერტაციო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან იცნობდნენ სადისერტაციო ნაშრომს, შემფასებელთა მიერ წარმოდგენილ დასკვნებს და შემოსულ გამოხმაურებებს.
8. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

მუხლი 14. დისერტაციის დაცვა

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ტარდება სემესტრში ერთხელ, ერთი თვის განმავლობაში, სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული გრაფიკით.
2. დისერტაციის დაცვა საჯაროა. ინფორმაცია დაცვის შესახებ ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
3. დაცვის ენა არის ქართული. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დაცვის სხვა ენაზე წარმართვის გადაწყვეტილება.

4.დისერტაციის დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს სადისერტაციო კომისიის მდივანი და ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის წევრები.

5. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:

ა) დოქტორანტის პრეზენტაცია (20-30 წუთი);

ბ) რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა;

გ) დოქტორანტის მიერ რეცენზიებში წარმოდგენილ შენიშვნებზე და დასმულ შეკითხვებზე საჯარო პასუხის გაცემა/სამეცნიერო დისკუსია;

დ) კომისიის დახურული სხდომა სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად და დასკვნის გაფორმება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით;

ე) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

6. დაცვის შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს გადაეცემა დისერტაციის შეფასებები და პირადი საქმე, დაცვის ამსახველი დოკუმენტაცია (წერილობითი სახით დისერტანტის პრეზენტაციისა და რეცენზენტთა შენიშვნებზე მისი პასუხების ტექსტები, სადისერტაციო კომისიის საბოლოო დასკვნა, გამოყენებული ბიულეტენები), აგრეთვე დისერტაციის მსვლელობის აუდიო ჩანაწერი.

7. სადისერტაციო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

8. დოქტორანტს, „არადამაკმაყოფილებელი" შეფასების მიღების შემთხვევაში ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის განმავლობაში წარდგენის უფლება. (8.12.2017, №154/2017)

მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება სადისერტაციო კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე შემდეგი სისტემით:

ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81– 90%;

გ) "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71–80%;

დ) "bene" - "საშუალო" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს მაქსიმალური შეფასების 61–70%;

ე) "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51– 60%;

ვ) "insufficienter" - "არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41–50%;

ზ) "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

2. ამ მუხლის „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
3. ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის შემდეგ წარდგენის უფლება.
4. ამ მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო წარდგენის უფლებას.

მუხლი 16. ხარისხის მინიჭება

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.
2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის ფორმირების წესის შესაბამისად – მიმართულებების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 17. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადაში (1–3 თვე) გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. დისერტაციის ერთი ბეჭდური ან ელექტრონული ეკზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებგვერდზე და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

მუხლი 18. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დისერტაციის დაცვის და გამოქვეყნების შემდეგ დოქტორანტს გადაეცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

მუხლი 19. სადოქტორო პროგრამები სხვა უნივერსიტეტებთან

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიძლება განხორციელდეს სადოქტორო პროგრამა თსუ-სა და სხვა უნივერსიტეტ(ებ)ს შორის თანამშრომლობით.
2. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ერთობლივი სადოქტორო ხარისხის მინიჭება.
3. დოქტორანტის ხელმძღვანელობისა და ხარისხის მინიჭების წესები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით, თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნებით.

მუხლი 20. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც შექმნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.
2. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.
3. სადისერტაციო საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებების, ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების საფუძველზე.
4. სადისერტაციო საბჭო შედგება დარგობრივი სექციებისაგან, რომელშიც ერთიანდებიან ფაკულტეტის პროფესორები.
5. სადისერტაციო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობა.
6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭო 2 წლის ვადით ფარული კენჭისყრით, კვორუმის შემთხვევაში უბრალო უმრავლესობით. ერთი და იგივე პირი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩევა ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.
8. სადისერტაციო საბჭოს მდივნის კანდიდატურას საარჩევნოდ წარადგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. არჩევნები არის ღია. ერთი და იგივე პირი სადისერტაციო საბჭოს მდივნად აირჩევა ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
9. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 21. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს;
ბ) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მდივანს;
გ) ამტკიცებს დარგობრივი სექციის ხელმძღვანელსა და მდივანს;
დ) ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად/შესაცვლელად წარუდგენს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის სათაურსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს;
ე) ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს (რეცენზენტებს);
ვ) ამტკიცებს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;
ზ) ამტკიცებს დაცვების განრიგს;
თ) ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე;
ი) ახორციელებს თსუ აკადმიური საბჭოს დადგენილებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 22. სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარისა და მდივნის უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებას წინამდებარე დებულების საფუძველზე, პასუხისმგებელია სადისერტაციო საბჭოს საქმიანობაზე;
ბ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებისთვის საჭირო სამოქმედო დოკუმენტების შემუშავებას, დაზუსტებასა და სრულყოფას;
გ) იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
დ) პასუხისმგებელია დისერტაციის დაცვის პროცედურების ორგანიზებაზე;
ე) სადისერტაციო საბჭოს ყოველწლიურად წარუდგენს შესრულებული საქმიანობის ანგარიშს.
2. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:
ა) უზრუნველყოფს საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას;
ბ) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებსა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტაციას;
გ) ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს საქმის წარმოებას.

მუხლი 23. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია

1. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის საქმიანობა წარიმართება წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ სექციაში ერთიანდებიან შესაბამისი დეპარტამენტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი.
3. დარგობრივი სექციის წევრები თავისი შემადგენლობიდან ორი წლის ვადით ირჩევენ დარგობრივი სექციის თავმჯდომარეს, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. ერთი და იგივე პირი დარგობრივი სექციის თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
4. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მდივანს სექციის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.
5. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობა. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სექციის თავმჯდომარე და მდივანი.
6. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით.

მუხლი 24. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექცია:
ა) ირჩევს სექციის თავმჯდომარეს;

ბ) განიხილავს სადისერტაციოდ წარდგენილი თემის აქტუალობას, მონაწილეობს თემის სათაურის დაზუსტების პროცესში და თემის დასამტკიცებლად შუამდგომლობს სადისერტაციო საბჭოს წინაშე;
გ) განიხილავს დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას;
დ) განიხილავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურას, აგრეთვე სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს და დასამტკიცებლად შუამდგომლობს სადისერტაციო საბჭოს წინაშე;
ე) განიხილავს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების კანდიდატურებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს;
ვ) სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო კომისიის ძირითად და სათადარიგო შემადგენლობას;
ზ) მიმართავს სადისერტაციო საბჭოს დაცვის დასანიშნად.

მუხლი 25. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლის პროცედურები

1. დოქტორანტს აქვს უფლება შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ერთი ფაკულტეტის ფარგლებში. საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს.
2. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 26. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებას შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2. წინამდებარე დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.
3. წინამდებარე დებულება დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და ამოქმედდება აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

დანართები:

დანართი №1. სადოქტორო-კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)/განაცხადის ფორმა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა -200.

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში): სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150.

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500.

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა – 400.
თარიღი:

ხელმოწერა

დანართი №2. დოქტორანტურაში მისაღები გასაუბრებისა და გამოცდის შეფასების წესი

სადოქტორო კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) და გასაუბრების შეფასება წარმოადგენს დოქტორანტურაში მიღების მინიმალურ სავალდებულო პირობას. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს სხვა საბუთებთან ერთად შემოაქვს სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა. გასაუბრებამდე 5 დღით ადრე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტი დოქტორანტის პროსპექტუსის ელექტრონულ ვერსიას უგზავნის დეკანის ბრძანებით, სადოქტორო პროგრამების მიხედვით, შექმნილ მიმღებ კომისიათა წევრებს.

დოქტორანტურაში მისაღები გასაუბრების გრაფიკი და მიმღები კომისიების შემადგენლობა მტკიცდება დეკანის ბრძანებით.

დოქტორანტობის მაძიებლის პროსპექტუსი და გასაუბრება კომისიის მიერ ფასდება ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და ფორმდება უწყისში (იხ. უწყისის დანართი). შევსებული უწყისი გადაეცემა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

შეფასების კრიტერიუმები

I. სადოქტორო კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსის) შეფასება (ფასდება გასაუბრების კომისიის მიერ)	**მაქსიმუმ 60 ქულა** **მინიმუმ – 31 ქულა**
საკვლევი თემა	მაქსიმუმ 10 ქულა
კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები	მაქსიმუმ 20 ქულა
კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა	მაქსიმუმ 20 ქულა
მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები	მაქსიმუმ 10 ქულა
II. გასაუბრების შეფასება (ფასდება გასაუბრების კომისიის მიერ)	**მაქსიმუმ 40 ქულა** **მინიმუმ -20 ქულა**
დოქტორანტობის მაძიებლის ინფორმირებულობა საკვლევი საკითხის შესახებ	მაქსიმუმ 15 ქულა
ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი	მაქსიმუმ 10 ქულა
კომუნიკაციის უნარი	მაქსიმუმ 15 ქულა

დოქტორატურაში მისაღები გასაუბრების შეფასების უწყისი

სადოქტორო პროგრამის დასახელება: _____

სასწავლო წელი: _____

დოქტორანტობის მაძიებლის გვარი, სახელი: _____

დოქტორანტობის მაძიებლის სავარაუდო ხელმძღვანელი _____

პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები	**მაქსიმუმ 60 ქულა** **მინიმუმ – 31 ქულა**	**შეფასება**	**შენიშვნა**
საკვლევი თემა	მაქსიმუმ 10 ქულა		
კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები	მაქსიმუმ 20 ქულა		
კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა	მაქსიმუმ 20 ქულა		
მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები	მაქსიმუმ 10 ქულა		
გასაუბრების შეფასება	**მაქსიმუმ 40 ქულა** **მინიმუმ - 21 ქულა**		
დოქტორანტობის მაძიებლის ინფორმირებულობა საკვლევი საკითხის შესახებ	მაქსიმუმ 15 ქულა		
ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი	მაქსიმუმ 10 ქულა		
კომუნიკაციის უნარი	მაქსიმუმ 15 ქულა		

მიმღები კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

მიმღები კომისიის მდივნის ხელმოწერა: ----------

მიმღები კომისიის წევრთა ხელმოწერა: ----------

შევსების თარიღი: ----------

სადოქტორო პროგრამას აქვს უფლება დამატებით შემოიღოს წერითი გამოცდა სპეციალობაში. გამოცდა ტარდება თსუ საგამოცდო ცენტრში. საგამოცდო საკითხები განთავსდება ფაკულტეტის ვებგვერდზე. გასაუბრებამდე 10 დღით ადრე ინიშნება გამოცდა. გამოცდაზე დადებითი შეფასების (21 ქულა) შემთხვევაში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტი დოქტორანტობის მაძიებლის პროსპექტუსის ელექტრონულ ვერსიას უგზავნის დეკანის ბრძანებით პროგრამების მიხედვით შექმნილი მიმღები კომისიების წევრებს გასაუბრებაზე შესაფასებლად.

შეფასების კრიტერიუმები

I. წერითი გამოცდა სპეციალობაში	**მაქსიმუმ 40 ქულა, მინიმუმ - 21 ქულა**
II. სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსი) შეფასება (ფასდება გასაუბრების კომისიის მიერ)	**მაქსიმუმ 30 ქულა მინიმუმ – 15 ქულა**
საკვლევი თემა	მაქსიმუმ 5 ქულა
კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები	მაქსიმუმ 10 ქულა
კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა	მაქსიმუმ 10ქულა
მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები	მაქსიმუმ 5 ქულა
II. გასაუბრების შეფასება (ფასდება გასაუბრების კომისიის მიერ)	**მაქსიმუმ 30 ქულა მინიმუმ -15 ქულა**
დოქტორანტობის მაძიებლის ინფორმირებულობა საკვლევი საკითხის შესახებ	მაქსიმუმ 10 ქულა
ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი	მაქსიმუმ 10 ქულა
კომუნიკაციის უნარი	მაქსიმუმ 10 ქულა

დოქტორატურაში მისაღები გამოცდის შეფასების უწყისი

სადოქტორო პროგრამის დასახელება: _____

სასწავლო წელი: _____

დოქტორანტობის მაძიებლის გვარი, სახელი: _____

დოქტორანტობის მაძიებლის სავარაუდო ხელმძღვანელი _____

სპეციალობაში **ზერითი** გამოცდის შეფასება	**მაქსიმუმ 40 ქულა, მინიმუმ - 21 ქულა**	**შეფასება**	**შენიშვნა**
პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები	**მაქსიმუმ 30 ქულა, მინიმუმ – 15 ქულა**		
საკვლევი თემა	მაქსიმუმ 10 ქულა		
კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები	მაქსიმუმ 20 ქულა		
კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა	მაქსიმუმ 20ქულა		
მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები	მაქსიმუმ 10 ქულა		
გასაუბრების შეფასება	**მაქსიმუმ 30 ქულა, მინიმუმ - 15 ქულა**		
დოქტორანტობის მაძიებლის ინფორმირებულობა საკვლევი საკითხის შესახებ	მაქსიმუმ 10 ქულა		
ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი	მაქსიმუმ 10ქულა		
კომუნიკაციის უნარი	მაქსიმუმ 10ქულა		

მიმღები კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

მიმღები კომისიის მდივნის ხელმოწერა: ----------

მიმღები კომისიის წევრთა ხელმოწერა: ----------

შევსების თარიღი: ----------

დანართი №3. სადოქტორო კოლოკვიუმის შეფასების წესი (8.12.2017, №154/2017)

სადოქტორო კოლოკვიუმი არის სადოქტორო პროგრამის შემადგენელი კომპონენტი.

საკოლოკვიუმო თემას უნდა ჰქონდეს მოკლე შესავალი ნაწილი, რომელშიც ასახული იქნება სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და აქტუალობა.
დოქტორანტი კოლოკვიუმს ირჩევს lms.tsu.ge-ზე, აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში. დარეგისტრირების ვადის დასრულებიდან ერთ თვეში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე შეადგენს კოლოკვიუმის დაცვის საფაკულტეტო გრაფიკს (სემესტრის დასკვნითი გამოცდების პერიოდში ერთი კვირის განმავლობაში), რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. გრაფიკის საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. დოქტორანტმა საკოლოკვიუმო ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა ატვირთოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ მითითებულ მისამართზე (https://tsu.ge/ge/faculties/social/hccla0ixc_o-h_tgp/phd_soc/yylmh84v63gpyuzvd//), სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებიდან 10 დღის ვადაში, ხოლო ბეჭდური ვერსია უნდა წარადგინოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში, დაცვამდე 5 დღით ადრე.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური უზრუნველყოფს კოლოკვიუმის ელექტრონული ვერსიის დარგობრივი კომისიის წევრებთან გაგზავნას. პროცედურების დარღვევის შემთხვევაში დოქტორანტი დაცვაზე არ დაიშვება.

კოლოკვიუმის შეფასება ხდება ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

დოქტორანტი კოლოკვიუმის პრეზენტაციით (15–20 წუთი) წარდგება დარგობრივი კომისიის წინაშე, რომელსაც დაცვისთვის აუცილებელ ყველა საბუთს გადასცემს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტი. კოლოკვიუმის დაცვის პროცესი საჯაროა. დარგობრივი კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
სადოქტორო კოლოკვიუმის შეფასება ფორმდება უწყისში (იხ. უწყისის დანართი 1). დოქტორანტის კოლოკვიუმის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, შეფასების უწყისი უნდა ინახებოდეს დოქტორანტის პირად საქმეში, ხოლო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაარქივდეს შესაბამისი წესით.

კოლოკვიუმის გაფორმება:

- ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს pdf ფორმატში; დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს PhD Colloquium და ავტორის გვარი მიეთითოს მაგალითისამებრ (მაგ.: PhD Colloquium.Abashidze);
- ნაშრომი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის რეკომენდებული სახე – AcadNusx, ან Sylfaen;
- შრიფტის ზომა – 12;

- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი–2 სანტიმეტრი;
- ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 20 გვერდისა დანართის გარეშე;
- ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს APA სტილში.

სადოქტორო კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები:

ნაშრომის აქტუალობა, საკვლევი პრობლემის დასაბუთება
წყაროების რელევანტურობა საკვლევ საკითხთან და კონცეპტუალური ჩარჩოს გამართულობა
ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული მეთოდები და მიდგომები
შესაბამისობა სადოქტორო კოლოკვიუმის გაფორმების წესთან, ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით გადმოცემა
კომუნიკაციისა და მსჯელობის უნარი

სადოქტორო კოლოკვიუმის შეფასების უწყისი

სადოქტორო პროგრამის დასახელება: ----------

სასწავლო წელი: _____ სემესტრი: _____

დოქტორანტის გვარი, სახელი: ----------

კოლოკვიუმის სახელწოდება

დოქტორანტის ხელმძღვანელის გვარი, სახელი:

	საკოლოკვიუმო ნაშრომის შეფასება	შეფასება	შენიშვნა
1	კოლოკვიუმის შეფასება დარგობრივი კომისიის მიერ		

შეფასების სისტემა:

ფრიადი	summa cum laude	შესანიშნავი ნაშრომი
ძალიან კარგი	magna cum laude	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება
კარგი	cum laude	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება
საშუალო	bene	შედეგი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს
დამაკმაყოფილებელი	rite	შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს
არადამაკმაყოფილებელი	insufficienter	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს
სრულიად არადამაკმაყოფილებელი	sub omni canone	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------

დარგობრივი კომისიის მდივნის ხელმოწერა: ---------

დარგობრივი კომისიის წევრთა ხელმოწერა: -------

შევსების თარიღი: ----------

დანართი №4. სადოქტორო სემინარის შეფასების წესი

სადოქტორო სემინარი არის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის ნაწილი.
ნაშრომის თემატიკას განსაზღვრავს დოქტორანტი, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
სემინარი 15 კრედიტიანია და ფასდება 100 ქულიანი სისტემით.
დოქტორანტი სემინარს ირჩევს lms.tsu.ge-ზე, აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში. დარეგისტრირების ვადის დასრულებიდან ერთ თვეში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე შეადგენს სემინარის დაცვის საფაკულტეტო გრაფიკს (სემესტრის დასკვნითი გამოცდების პერიოდში ერთი კვირის განმავლობაში), რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. გრაფიკის საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

დოქტორანტმა სასემინარო ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა ატვირთოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ მითითებულ მისამართზე (https://tsu.ge/ge/faculties/social/hccla0ixc_o-h_tgp/phd_soc/_gqntseptc5xlux_s//), სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებიდან 10 დღის ვადაში, ხოლო ბეჭდური ვერსია უნდა წარადგინოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში, პრეზენტაციამდე 5 დღით ადრე.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური უზრუნველყოფს სასემინარო ნაშრომის ელექტრონული ვერსიის დარგობრივი სექციის წევრებთან და ხელმძღვანელთან გაგზავნას.
ხელმძღვანელმა ნაშრომის შეფასება პრეზენტაციამდე 5 დღით ადრე უნდა გაუგზავნოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

დოქტორანტი სასემინარო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება ხელმძღვანელის დადებითი შეფასების (30 ქულა) შემთხვევაში.

პროცედურების დარღვევის შემთხვევაში დოქტორანტი დაცვაზე არ დაიშვება.

დარგობრივი კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
სემინარი დაცულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი მიიღებს მინიმუმ 51 ქულას.
სადოქტორო სემინარის შეფასება ფორმდება უწყისში (იხ. უწყისის დანართი 1), რომელშიც აისახება ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის და დარგობრივი კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასება.
დოქტორანტის სემინარი, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, შეფასების უწყისი და ხელმძღვანელის შეფასება უნდა ინახებოდეს დოქტორანტის პირად საქმეში, ხოლო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაარქივდეს შესაბამისი წესით.

სასემინარო ნაშრომის გაფორმება:

- ფურცლის ზომა – A4;
- ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს pdf-ის ფორმატში;
- შრიფტის რეკომენდებული სახე – AcadNusx ან Sylfaen;
- შრიფტის ზომა – 12;
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი –2 სანტიმეტრი;
- ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 30 გვერდისა;
- ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს APA სტილით.

სადოქტორო სემინარის ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

I. სასემინარო ნაშრომის შეფასება (ფასდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ)	მაქსიმუმ 60 ქულა, მინიმუმ – 30 ქულა
სასემინარო თემის აქტუალობა	მაქსიმუმ 10 ქულა
წყაროების შესაბამისობა სასემინარო თემასთან	მაქსიმუმ 20 ქულა
სასემინარო თემის შესახებ არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზი და შეფასება	მაქსიმუმ 20ქულა
შესაბამისობა სადოქტორო სემინარის გაფორმების წესთან; ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით გადმოცემა	მაქსიმუმ 10 ქულა
II. პრეზენტაციის შეფასება (ფასდება დარგობრივი სექციის მიერ)	მაქსიმუმ 40 ქულა, მინიმუმ – 21 ქულა
ა) საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საკვლევ თემასთან და სტრუქტურულ-შინაარსობრივი გამართულობა	მაქსიმუმ 20 ქულა
ბ) კომუნიკაციისა და მსჯელობის უნარი	მაქსიმუმ 10 ქულა
გ) საპრეზენტაციო მასალის შესრულების დონე	მაქსიმუმ 10 ქულა

სადოქტორო სემინარის შეფასების უწყისი

სადოქტორო პროგრამის დასახელება: ----------

სასწავლო წელი: _____ სემესტრი: _____

კრედიტის ოდენობა: 15 კრედიტი

დოქტორანტის გვარი, სახელი: ----------

სადოქტორო სემინარის სახელწოდება ----------

დოქტორანტის ხელმძღვანელის გვარი, სახელი: ----------

	სასემინარო ნაშრომი	მაქსიმალური ქულა - 100, მინიმალური ქულა - 51	შეფასება	შენიშვნა
1.	სასემინარო ნაშრომის შეფასება ხელმძღვანელის მიერ	60 ქულა		
2.	პრეზენტაციის შეფასება დარგობრივი სექციის/კომისიის მიერ	40 ქულა		
	სულ	100 ქულა		

ცოდნის შეფასების სისტემა: სემინარის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
კომისიის მდივნის ხელმოწერა: ----------
კომისიის წევრთა ხელმოწერა: ----------
ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

შევსების თარიღი: ----------

დანართი №5. პროფესორის ასისტენტობა

პროფესორის ასისტენტობა (5-30 კრედიტი) - დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს:

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის:

1. სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება, შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება;
2. სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა;
3. ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად (ე.წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.);
4. საბაკალავრო სწავლების საფეხურზე ტუტორობა.

სალექციო კურსების წაკითხვა:

1. სალექციო კურსების წაკითხვა "საბავშვო უნივერსიტეტის" მსმენელთათვის (ფაკულტეტებზე სადოქტორო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია სხვა აქტივობების ჩატარებაც).

კრედიტების მინიჭება:

კრედიტების რაოდენობა დამოკიდებულია ჩატარებული საათების რაოდენობაზე და იმ დროზე, რომელიც დოქტორანტმა შესრულებულ სამუშაოს მოანდომა.
მაგალითად:
კრედიტების მინიჭება ხდება შემდეგი პრინციპით: თითოეულ ჩატარებულ საათს ემატება ოთხი საათი, ანუ პირობითად ის დრო, რომელსაც ანდომებს დოქტორანტი მისთვის მზადებას. დავუშვათ, დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში მაქსიმუმ ჩაატარა 30 საათი, **მაშინ 30 (საათი) + 120 (დოქტორანტის მომზადების საათები) = 150 საათი. 150 (საათი) : 25 (საათი/კრედიტი)= 6 კრედიტი**
კრედიტების რაოდენობა ასევე დამოკიდებულია გასწორებული ნაშრომების რაოდენობაზე. დავუშვათ, რომ დოქტორანტი თითოეული ნაშრომის გასწორებას პირობითად ანდომებს 30 წუთს. თუ მის მიერ გასწორდა 100 ნაშრომი, მაშინ ამ საქმეზე დახარჯულა 50 საათი. **50 : 25 = 2 კრედიტი**
დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობაა შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია.

დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების და სემინარების საათები არ უნდა შედიოდეს სხვა აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის საათობრივ დატვირთვაში.

პროფესორის ასისტენტობა
ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ

სასწავლო წელი: სასწავლო სემესტრი:

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____
ფაკულტეტი: _____
სადოქტორო პროგრამა:
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:
დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:
დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი:

შესრულებული სამუშაო	**დახარჯული დროის მოცულობა**	**დოქტორანტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობა**	**შეფასება**
სამუშაო ჯგუფი (სემინარი)	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
ლაბორატორიული სამუშაო/პრაქტიკუმი	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
ლექცია “საბავშვო უნივერსიტეტში”	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		

ზოგიერთი სალექციო თემის მომზადება	საკონტაქტო საათების რაოდენობა: დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა: სულ:		
შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება	მომზადებული მასალის მოცულობა: მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო: სულ:		
სტუდენტთა ნაშრომების გასწორება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის გასწორებაზე დახარჯული დრო: სულ:		
საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის რეცენზირებაზე დახარჯული დრო: სულ:		
ელექტრონული სასწავლო კურსებისთვის მასალების მომზადება	მომზადებული მასალის მოცულობა: მასალის მომზადებაზე დახარჯული დრო: სულ:		
საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა	ნაშრომების რაოდენობა: თითოეული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე დახარჯული დრო: სულ:		

ტუტორობა	სტუდენტთა კონსულტაციაზე დახარჯული დრო:		
სხვა			
საბოლოო შეფასება			

დოქტორანტის ხელმოწერა:

პროფესორის ასისტენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

პროფესორის ასისტენტობის შეფასების უწყისი

სასწავლო წელი: სასწავლო სემესტრი:

დოქტორანტის სახელი და გვარი: _____
ფაკულტეტი: _____
სწავლების საფეხური:
სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:
დისციპლინა:
კრედიტების რაოდენობა:
პროფესორის ასისტენტობის ხელმძღვანელი:

№	შესრულებული სამუშაო	დახარჯ. დროის მოცულ.	დაგრ. კრედიტი	შეფასება	სემესტრი	სასწ. წელი
1	სამუშაო ჯგუფი (სემინარი)					
2	ლაბორატორიული სამუშაო/პრაქტიკუმი					
3	ზოგიერთი სალექციო თემის მომზადება					
4	შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება					
5	სტუდენტთა ნაშრომების გასწორება					
6	საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება					
7	საბაკალავრო ნაშრომის					

	ხელმძღვანელობა					
8	ელექტრონული სასწავლო კურსებისთვის მასალების მომზადება					
9	ლექცია “საბავშვო უნივერსიტეტში”					
10	ტუტორობა					
11	სხვა					
საბოლოო შეფასება სულ:						

პროფესორის ასისტენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი №6. ნაშრომის დიზაინი

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა დანართის გარეშე არის არაუმცირეს 125 გვერდისა, უცხოენოვანი ვერსიის მოცულობაა 30-45 გვერდი. ფურცლის ზომა A4, შრიფტის სახეობა AcadNusx ან Sylfaen, Times New Roman შრიფტის ზომა – 12. სტრიქონებს შორის მანძილი 1,5; გვერდის საზღვრები მარცხნიდან 3 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2.5 სმ, მარჯვნიდან 1,5 სმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი (ციტირება და ლიტერატურის მითითება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პუბლიკაციების სტილით, ან APA სტილით).